საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 23
22/12/2017

23-06-4-201712221737

დადგენილება №23
2017 წლის 22 დეკემბერი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებებისა დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და ,,2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებითი ბიუჯეტების შედგენის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ოქტომბრის N471 დადგენილების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge, 23/12/2016, 190020020.35.171.016129) კერძოდ:

1. **გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები:**

შემოსულობა საქონელი და მომსახურების რეალიზაცია - 217.9 ათ. ლარით, მ.შ:

- შემოსულობა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან – 217,9 ათ ლარით.

2. **შესაბამისად შევიდეს ცვლილება ბიუჯეტის ხარჯებში:**

- **პროგრამული კოდი 03 01** - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - შემცირდეს **70.8** ათ. ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა);
- **პროგრამული კოდი 03 02 02** - ბინათმშნებლობა - შემცირდეს **50.4** ათ. ლარით (სხვა ხარჯების მუხლი);
- **პროგრამული კოდი 03 02 04** - კეთილმოწყობის სამუშაოები - შემცირდეს **52.2** ათ. ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა);
- **პროგრამული კოდი 05 02 02 09** -ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი - შემცირდეს **11,0** ათ. ლარით (სუბსიდია);
- **პროგრამული კოდი 05 02 02 12** - ა(ა)იპ კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი - შემცირდეს **5,5** ათ. ლარით (სუბსიდია);
- **პროგრამული კოდი 06 02 15 06** - ვეტერანთა დახმარების პროგრამა - შემცირდეს **3,0** ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა).

სულ შემცირდეს ბიუჯეტის ხარჯები 192,9 ათ. ლარით.

3. **შესაბამისად დაკორექტირდეს ბიუჯეტის ხარჯები:**

- **პროგრამული კოდი 01 02 -** ქალაქ ოზურგეთის მერია - გაიზარდოს **11,6** ათ. ლარით (საქონელი და მომსახურება);
- **პროგარმული კოდი 03-02 05** - გარე განათება - გაიზარდოს **13,1** ათ. ლარით (საქონელი და მომსახურება);
- **პროგრამული კოდი 03 02 01** - დასუფთავების ღონისძიებები -გაიზარდოს **99,5** ათ. ლარით (სუბსიდია);
- **პროგრამული კოდი 03 02 03** - კომუნალური მომსახურების ცენტრი - გაიზარდოს **49,5** ათ. ლარით;
- **პროგრამული კოდი 04 01 -** სკოლამდელი განათლების დაფინანსება - გაიზარდოს **98.0** ათ. ლარით (სუბსიდია);
- **პროგრამული კოდი 05 01 02 05** - ა(ა)იპ რაგბის განვითარების ცენტრი - გაიზარდოს **59.9** ათ. ლარით (სუბსიდია);
- **პროგრამული კოდი 05 01 02 07** - ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი მერცხალი - გაიზარდოს **21.1** ათ. ლარით (სუბსიდია);
- **პროგრამული კოდი 05 02 02 02** - ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა - გაიზარდოს **1,0** ათ. ლარით;
- **პროგრამული კოდი 05 02 02 05** - ა(ა)იპ კულტურის და დასვენების პარკი - გაიზარდოს **3,2** ათ. ლარით (სუბსიდია);
- **პროგრამული კოდი 05 02 02 08** - ა(ა)იპ მუსიკალური სკოლა - გაიზარდოს **6,4** ათ. ლარით (სუბსიდია);
- **პროგრამული კოდი 06 02 04 01** - შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა - გაიზარდოს **6,1** ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა);

- **პროგრამული კოდი 06 02 04 05** - ,,C" ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება - გაიზარდოს **7.7** ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა);
- **პროგრამული კოდი 06 02 15 02** - მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა - გაიზარდოს **0.9** ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა);
- **პროგრამული კოდი 06 02 15 09** - უსახლკაროთა დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირით - გაიზარდოს **8.9** ათ. ლარით (სხვა ხარჯები);
- **პროგრამული კოდი 06 02 15 10 -** ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება - გაიზარდოს **9.3** ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა);
- **პროგრამული კოდი 06 02 16 01** - მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა გაიზარდოს **1.5** ათ. ლარით (სოციალური უზრუნველყოფა);
- **პროგრამული კოდი 06 02 04** - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა გაიზარდოს **13.1** ათ. ლარით (სუბსიდია), კერძოდ საქველმოქმედო ასოციაცია გურიის დაფინასებისათვის.

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ღურჯუმელიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო